საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/222 « 14 » დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თ. გოგოლაურის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, თათია გოგოლაური 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2018 წლის 18 იანვრიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე პერიოდში თათია გოგოლაურის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (თ. ონიანი; გ. მიქაუტაძე; ნ. მარსაგიშვილი) და სამი არამოსამართლე (ლ. გზირიშვილი; ი. გელაშვილი; თ. ღვამიჩავა) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე თათია გოგოლაურის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 534 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 89%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (**მომხრე:** ი. ბონდარენკო; ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; დ. გვრიტიშვილი; თ. ლეონიძე; ნ. მარსაგიშვილი; ვ. მშვენიერაძე; თ. ონიანი; ნ. ქადაგიძე; შ. ქადაგიძე; თ. ღვამიჩავა; ი. შენგელია; ქ. ცინცაძე; ზ. ხარებავა. **წინააღმდეგი:** ნ. ჯანეზაშვილი) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თათია გოგოლაური 2021 წლის 18 იანვრიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე